41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო აბაშელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი აბაშის მერობის კანდიდატისა და აბაშის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს აბაშის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს აბაშა და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ აბაშის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 6,8 მლნ იყო, 2021 წლის გეგმის მიხედვით 18,8 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივმა ბიუჯეტმა სულ 6,8 მლნ ლარი მიიღო, 2021 წელს გეგმის მიხედვით, გადასახადებში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 19,9 მლნ ლარს შეადგენს.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

აბაშის მუნიციპალიტეტში, 2015-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 137 ჰექტარზე განხორციელდა 40 პროექტი (ჯამურად 1 954 395 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 303 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 869 262 ლარი), რითაც 350-მა ბენეფიციარმა ისაარგებლა. ფერმერებზე სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 4 486 ლარი გაიცა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 4 კოოპერატივი (46 მეპაიე, კაპიტალი 3 190 ლარი). პროგრამით **შეღავათიანი აგროკრედიტი**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 13 244 435 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 2 084 568 ლარი), რითაც 237-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** 6 პროექტი ჯამურად 232 845 ლარით დაფინანსდა (თანადაფინანსება 90 856 ლარი). 2020 წლიდან მიმდინარეობს 2 ახალი პროგრამა: **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** დღემდე 2 პროექტი განხორციელდა (ჯამურად 111 000 ლარი, თანადაფინანსება 55 500 ლარი), ხოლო **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით** 8 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 904 778 ლარი, თანადაფინანსება 577 518 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, 2 448 337 ლარი დაიხარჯა, შედეგად დაშრობილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 500-დან (2013 წელს) 4 494 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, **აბაშის მუნიციპალიტეტში,** ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 30 685 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 11 670 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** აბაშაში დაფინანსდა 1 საწარმო (ჯამურად 648 000 ლარი, დასაქმებულია 25 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 272 990 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 342 718 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 40 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 33, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად – 7 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2014-2021 წლებში, **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში,** აშენდა 9 ჰიდ-

აბაშის მუნიციპალიტეტის შემოსასვლელთან სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა

როელექტროსადგური (მაქსანია ჰესი, მესტიაჭალა 1 ჰესი, მესტიაჭალა 2 ჰესი, იფარი ჰესი, ხელრა ჰესი, ლახამი 1 ჰესი, ლახამი 2 ჰესი, კასლეთი ჰესი 2, ხელრა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 72 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება 296 მილიონი კვტ/ სთ.

მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 6 ჰიდროელექტროსადგური:

- ხობი ჰესი 2 – დადგმ. სიმძლავრე 46,70 მგვტ, 63 მლნ აშშ დოლარი;
- ნაკრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 7,50 მგვტ, 9 მლნ აშშ დოლარი;
- ნენსკრა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 280 მგვტ, 1 მლრდ აშშ დოლარი;
- ჯაღონ-ნამუში ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,4 მლნ აშშ დოლარი;
- ნაცეშარი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,93 მგვტ, 2,6 მლნ აშშ დოლარი;
- დარჩი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 16,9 მგვტ, 19,8 მლნ აშშ დოლარი.

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები:

- ვედი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 24 მგვტ, 19,1 მლნ აშშ დოლარი;
- წირმინდი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 15,6 მგვტ, 13,4 მლნ აშშ დოლარი;
- ლაპლაჭალა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, ინვესტიცია 11,9 მლნ აშშ დოლარი;
- ლუხრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 3,5 მგვტ, 14 790 000 აშშ დოლარი;
- ხუბერი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,24 მლნ აშშ დოლარი;
- ჭანი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0,5 მგვტ, 0,696 მლნ აშშ დოლარი;
- დიზი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 210 მგვტ, ინვესტიცია 388 მლნ აშშ დოლარი;
- ხუდონი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 702 მგვტ, 776 მლნ აშშ დოლარი.

აბაშის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია 4 876 აბონენტი.** ხელისუფლების გეგმით, 2022-2023 წლებში, განხორციელდება 11 სოფლის (ქოლობანი, ბულვანი, ტყვირი, ცილორი, გამოღმა ზანათი, სუჯუნა, წალიკარი, გეზათი, გულუხეთი, სამიქაო, მაიდანი) გაზიფიცირება (2754 აბონენტი). 2013-2017 წლებში, 1 907 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად, 2014 წელს აბაშაში განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მუდმივად მიმდინარეობს ახალი ტურისტული მარშრუტების კვლევა-დაგეგმვა. რეაბილიტირდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ-კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზები. ასევე, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა აბაშის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრს.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**
- **სახელმწიფოს მხრიდან მომავალ წლებში გაგრძელდება ცნობიერების ამაღლების ტრენინგები და სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებები.**

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

რეგულარულად ხორციელდება აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება,** მათ მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის, გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებს თუ გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს სტიქიური **გეოლოგიური პროცესების მონიტორინგს** და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით; გარდა ამისა, მიმდინარეობს მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 2 წყალპუნქტზე. ასევე, სოფ. პირველ ეწერში დაგეგმილია **მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის აპარატურის ინსტალაცია** (25 000 ლარი).

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, აბაშის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, აბაშაში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 25 მლნ ლარამდე დაიხარჯა. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 3,717 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში აბაშის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 21 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 3 710 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

ქ. აბაშასა და მიმდებარე სოფლებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის განსავითარებლად მიმდინარეობს **წყალსადენი სისტემის** მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის საინვესტიციო მოცულობა 13 940 000 ლარია.

2021-2022 წლებისთვის აბაშის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- აბაშის მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში მდ. ცხენისწყლის მიმდებარედ საინფორმაციო ცენტრის მოწყობა – 1 222 222 ლ;
- სოფ. გამოღმა ზანათში სასაფლაოს მიმდებარედ №8 ქუჩისა და შესახვევის მოწყობა ასფალტო/ ბეტონის საფარით – 333 384 ლ;
- აბაშის მუნიციპალიტეტში გარე-განათების მოწყობა – 1 734 900 ლ;
- ქ. აბაშაში, ნოღოხაშის უბანში, შუბლაძის ქუჩის გასწვრივ რკინა-ბეტონის საწიაღვრე არხისა და შემოღობვის მოწყობა – 97 141 ლ;
- აბაშის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული შენობების, სოფ. სუჯუნის კულტურის სახლისა და ქ. აბაშაში თავისუფლების ქ. №102 ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რემონტი – 207 700 ლ;
- ქ. აბაშაში გზების ორმული შეკეთება – 957 896 ლ;
- აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რკინა-ბეტონის საფარით მოწყობა – 300 000 ლ;
- აკაკის I და II შესახვევის მოწყობა ასფალტო/ბეტონის საფარით – 151 400 ლ;
- რუსთაველის I შესახვევის მოწყობა ასფალტო/ბეტონის საფარით – 161 350 ლ;
- აბაშის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ორმული შეკეთება – 150 000 ლ;
- კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 2 453 000 ლ;
- აბაშის მუნიციპალიტეტში ახალი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა – 12 000 000 ლ;
- სოფ. განათლებისკარში სკოლის მშენებლობა – 1 243 000 ლ;
- სოფ. ქოლობანში ავტომაგისტრალის მიმდებარედ აგრობაზრის მოწყობა – 89 555 ლ.

აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ წყემში, ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრი

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲘᲐ: „ᲐᲑᲐᲨᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ“

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲘᲐ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲘᲐᲨᲘᲐ, ᲕᲘᲜᲪ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲑᲔᲒᲠᲐᲣᲜᲓᲘᲗ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ – ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲨᲘᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ, ᲑᲐᲜᲙᲨᲘᲪ, ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘᲪ, ᲐᲣᲓᲘᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘᲪ, ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲐᲓᲐᲪ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ, ᲧᲕᲔᲚᲐ �პᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔ ᲧᲝᲤᲜᲘᲡᲐᲡ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ – ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ. ᲔᲡ ᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲓᲔᲜᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲔᲑᲐ.

ᲗᲣᲛᲪᲐ 2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲓᲘᲕᲘᲓᲔᲜᲓᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲐ – ᲐᲑᲐᲨᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲙᲔᲜᲭᲡ ᲘᲧᲠᲘᲡ, ᲛᲘᲡ ᲑᲔᲑᲘᲐ-ᲑᲐᲑᲣᲐᲡᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡᲐᲪ.

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲫᲐᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲪᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲛᲐᲒᲠᲔᲑᲡ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲑᲐᲨᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲐ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲠᲘᲗ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲐᲑᲐᲨᲐ ᲛᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ? ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲪᲮᲝᲕᲠᲐ ᲑᲔᲑᲘᲐ-ᲑᲐᲑᲣᲐᲛ ᲖᲚᲐᲞᲐᲠᲨᲘ? ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲧᲕᲐᲠᲗ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲛᲐᲠᲐᲜᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ? ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲝᲑᲐ? ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲓᲒᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ? ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲘᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ? – ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ �პᲐᲡᲣᲮᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲒᲘᲒᲐ ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ ᲐᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ.

დაიბადა 1977 წლის 1 მაისს, აბაშაში. აქვე დაამთავრა №1 საშუალო სკოლა-გიმნაზია. სწავლა განაგრძო თბილისის მართვის ინსტიტუტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1999 წელს. პროფესიით იურისტია.

მუშაობდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და საბანკო სექტორში. 2014-2015 წლებში იყო აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი; 2015-2019 წლებში – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფროსი; 2019 წლიდან – სსიპ სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული მენეჯერი.

ჰყავს მეუღლე სამი შვილი.

– აბაშა სამეგრელოს კარიბჭეა. აქ ძალიან მოსიყვარულე საზოგადოებაა. ჩემ ოჯახს მთელი აბაშა იცნობს. საოცარი ბებია-ბაბუა მყავდა. გაბელაიების გვარი ძალიან შეკრულია. მე, ოჯახის გამორჩეულ წარმომადგენელს, გერმანე ბაბუას მამსგავსებენ. წლების განმავლობაში საზკვების მომარაგების გამგე იყო. მოგვიანებით, ქალაქში თავისი პატარა რესტორანიც ჰქონდა. სულ 3-4 მაგიდა ედგა, მაგრამ ყველას იქ უყვარდა მისვლა. გერმანე გაბელაია აბაშის კოლორიტი გახლდათ. ფინანსურად ყოველთვის წელში გამართული იყო. თუმცა, მისთვის ფული არასდროს მითხოვია, ყოველთვის თვითონ გვირიგებდა შვილიშვილებს. მამის დედა – ლეილა კაჭარავა ჩემი გამზრდელია. ჩემ წარდგენას რომ უყურა, გახარებულს უთქვამს, ღმერთო, ისე არ მომკლა, ჩემი შვილიშვილის გამარჯვებას ვერ მოვესწროო. ბებია დიასახლისი იყო, მაგრამ ყველას მომრიგებელ-შემრიგებელი გახლდათ. მის სიტყვას ოქროს ფასი აქვს. 87 წლისაა და სამწუხაროდ, ძალიან მოსუსტდა, მაგრამ მიმდინარე მოვლენებს აქტიურად ადევნებს თვალს. შვილიშვილებთან და 11 შვილთაშვილთან კომუნიკაციის დიდოსტატია. საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნი იყო – სკოლიდან მოვიდოდით თუ არა, ჯერ უნდა გვემეცადინა, მერე გვეთამაშა. ბებია სულ წიგნით ხელში მახსოვს. მუდმივად რაღაცას გვიკითხავდა და გვასწავლიდა. სასწაულ მეგრულ კერძებს ამზადებდა ყოველთვის. ჭიშკრიდან ვეძახდით ხოლმე – „ბებია, საჭმელი რა გვაქვს?“

– დედის მხრიდან ბებია-ბაბუაც ასე ცნობადია აბაშაში?

– დიახ, ქალაქის ცენტრში ვცხოვრობდით. 1 საშუალო სკოლა დავამთავრე, თუმცა თავიდან 8-წლიან რუსულ სკოლაში დავდიოდი. ყოველ პარასკევს საღამოს ვიდექი ფანჯარასთან და ველოდი, როდის გამოივლიდა ბიძაჩემი, დედის ძმა, რომ წავეყვანე დედულეთში – სოფელ მარანში. ეს ულამაზესი სოფელია აბაშაში. დედის მხრიდან ეთერი ბებია, დიდი ჩარკვიანების შთამომავალი და ულამაზესი ქალი გახლდათ. სიამაყითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩეოდა. დაახლოებით 30 წელი აბაშის რაისაავადმყოფოში მთავარი ბებიაქალი იყო. ბაბუა, ოთარ თელია კი, ისეთი იყო, მულტფილმებში დადებით პერსონაჟებს რომ ხატავენ. არ ვიცი საიდან იგონებდა ამდენ ზღაპარს. ყოველ საღამოს შვილიშვილებს შემოგვისხამდა და საოცარ სამყაროში „გვამოგზაურებდა“. „კიდევ მოგვიყევი რა, ბაბუ ზღაპარი“ – ვეხვეწებოდით ჩვენ და მასაც, თხრობა არ ეზარებოდა. გული მწყდება, რომ ის ზღაპრები ჩაწერილი არ მაქვს, მაგრამ რამოდენიმე მახსოვს და ჩემს შვილებს ვუამბობ ხოლმე ძილის წინ. ჩემთვის თავისი ხელით ჰქონდა გაკეთებული პატარა ჩაქუჩი, ნაჯახი, წალდი.. ჩემი მიკროსამყარო მქონდა მარანში, რომელსაც სხვა არავინ უნდა შეხებოდა. სიკეთის განსახიერება იყო. ხბოსაც კი ელაპარაკებოდა. არ არსებობს ის ცხოველი ან ფრინველი დაგვეკლა, რომელსაც ბაბუა გაზრდიდა. როგორც ჩვენ გვიყვარდა, ისე უყვარდა მთელ სოფელს. კვირაში 2-3-ჯერ მაინც ჩამოგვაკითხავდა. იცოდა არაფერი გვაკლდა, მაგრამ თავისი მოწეული ხილი, ბოსტნეული მოჰქონდა. ყველაზე გემრიელი იყო ის სანოვაგე. ბაბუებს ერთმანეთთან ურთიერთობა ძალიან მოსწონდათ. ჩამოსხდებოდნენ, ცოტა ღვინოს მოწრუპავდნენ და ყვებოდნენ ისტორიებს. მათი მოსმენა დიდი სიამოვნება იყო. 25 წლამდე ოთხივე მყავდა და ამით უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე ამ გარემომ საოცრად იმოქმედა.

– პიროვნების ჩამოყალიბებისას მშობლებმაც ასეთი დიდი როლი შეასრულეს?

– რა თქმა უნდა და ძალიან ვამაყობ, რომ მათი შვილი ვარ. მამა – სოსო გაბელაია საკუთარი მცირე ბიზნესითაა დაკავებული. გარკვეული პერიოდი საჯარო სამსახურშიც იყო, თუმცა უმეტესად კერძო სექტორში მუშაობდა. მამას ოფიციალურად აკაკი ჰქვია, თუმცა აბაშაში ყველა სოსოთი იცნობს. დედამ – მზია თელიამ დედამისის პროფესია აირჩია, სამედიცინო განხრით წავიდა და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ლაბორანტი იყო. ბავშვობაში სუსტი აღნაგობით გამოვირჩეოდი და მახსოვს, ხშირად მივყავდი სისხლის ანალიზის გასაკეთებლად. მხოლოდ მე კი არა, ჩემს მეგობრებსაც ხშირად უღებდა ანალიზებს, აქაოდა რამე არ გამოგვეპაროსო. დედა ყველა იმ სიკეთის ნაზავი იყო, რაც მის მშობლებს ჰქონდათ და სილამაზითაც გამოირჩეოდა. სადაც უნდა შევსულიყავით, წარმოუდგენელი იყო, ფურორი არ მოეხდინა თავისი გარეგნობით, სილაღით, განათლებით, ერუდიციით... დედა უსაშველოდ მაკლია... 20 წელი ვიბრძოლეთ მის გადასარჩენად. თვითონ ბოლომდე არ გატყდა. აქეთ გვამხნევებდა ყველას. ბოლო 2 კვირის გარდა, სამსახურიც არ მიუტოვებია. მინდა დიდი პატივისცემა გამოვხატო მისი გუნდის, კოლექტივის, მეგობრების მიმართ. ლეილა ბებია იტყვის ხოლმე, ნეტა მის სიკვდილს არ მოვსწრებოდიო. არ მახსოვს, ოდესმე რძლის მხარე არ დაეჭირა. მამა ეხუმრობოდა კიდეც ბებიას, მგონი, ესაა შენი შვილი და მე ვარ მოსულიო. ვერაფრით შევეგუეთ უმისობას... ჩემი მშობლების დასახასიათებლად, ერთ, ბევრისთვის დაუჯერებელ, ისტორიას გიამბობთ: დედის ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. ის ბიძა, ყოველ პარასკევს რომ მაკითხავდა, მანქანის ტარებას მასწავლიდა და მარანში მივყავდი, ძალიან ახალგაზრდა, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. საოცარი ადამიანი იყო და მარანში, დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებენ. ბებია-ბაბუას მხოლოდ დედაჩემი დარჩა, გვარის გამგრძელებელი არ ჰყავდათ. რაღაც დროის შემდეგ; შვილი შეეძინათ, ჩემმა მშობლებმა გადაწყვეტილება მიიღეს – ბიძაჩემის სულის პატივსაცემად მისთვის მისი სახელი და გვარი მიეცათ. დღეს მე მყავს 16 წლით უმცროსი ძმა – გია თელია. წარმოიდგინეთ, ამ ამბის მერე, მამას როგორ პატივს სცემენ მარანში. ბევრი კაცი არ მისცემდა შვილს, თუნდაც ძალიან საყვარელი ცოლისძმისა და მეგობრის სახელ-გვარს. სხვათაშორის, მე და ჩემი ძმა ხშირად უხერხულ სიტუაციაშიც აღმოვჩენილვართ, როცა იმის ახსნა გვიწევს, თუ ერთი დედ-მამის შვილები ვართ, გვარი სხვადასხვა რატომ გვაქვს. ჩვენ დაც გვყავს, 3 ვაჟკაცის დედაა, უფროსი, ფაქტობრივად, დედაჩემის გაზრდილია. ჩემი და, მეუღლესთან ერთად, წლებია ესპანეთში ცხოვრობდა, იქ შეეძინათ პატარა კაცები, ამჟამად კი საქართველოში ცხოვრობენ.

– ამბობთ, რომ მშობლებისა და ბებია-ბაბუების წყალობით, ზღაპარში იცხოვრეთ. ასეთ გარემოში გაზრდილმა იურისტობა რატომ გადაწყვიტეთ?

– სიმართლე გითხრათ, თავიდან ფიზიკა-მათემატიკური განხრით მინდოდა წასვლა. ალბათ იმის გამო, რომ მამა კერძო სექტორში იყო, თან ტექნიკური საგნები მეხერხებოდა. თუმცა, ერთ დღეს მამამ მითხრა, ხედავ როგორი ვითარებაა საქართველოში, ყველა სფეროს თავისი პრობლემები აქვს, ძალიან გვჭირდება ქვეყანაში კარგი სამართალდამცავები, ამ ქვეყანას მხოლოდ კარგი იურისტები თუ დაალაგებენო. ყოველთვის ასეთი მიდგომა ჰქონდა მამას. მასთან საუბარი გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარა და იურიდიულზე ჩავაბარე. მესამე კურსიდან მუშაობა დავიწყე იურისტ-კონსულტად. ყოველთვის დამოუკიდებელი ვიყავი. სასწავლებლად რომ წავედი თბილისში, იმ ზაფხულს ფიზიკურადაც ვიმუშავე და ფული მოვაგროვე. შემდეგ დავბრუნდი აბაშაში, რადგან იქ უფრო მარტივი იყო მუშაობის დაწყება. გამგეობაში ჯანდაცვის საკოორდინაციო ცენტრის იურისტად ვიმუშავე და შემდეგ სამართალდამცავ ორგანოებში გადავედი. საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე. 27 წლის ვიყავი, სისტემიდან რომ წამოვედი და ჩავაბარე ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდები. შემდეგ იუსტიციის სამინისტროში კონკურსით ამიყვანეს. იქაც მალე დავწინაურდი, ბოლოს თბილისის სააღსრულებო ბიუროში ერთ-ერთი დანაყოფის უფროსი ვიყავი, მაგრამ პროკრედიტბანკისგან შემოთავაზება მივიღე და დავთანხმდი... ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში მაშინ დაიწყო, როცა საკუ-

თარი საადვოკატო ბიურო გავხსენი და მალევე დავიმკვიდრეთ ადგილი. წარმატება ისე მალე მოვიდა, რომ დაახლოებით სამ თვეში ბიუროში დასაქმებული მყავდა 18 ადვოკატი. კერძო სექტორში მუშაობა საინტერესოა. აქ არაერთი სიახლის დანერგვა შეგიძლია. ამ მხრივ მეც მაქვს საამაყო. შევქმენი პირველი კომპანია ბაზარზე, რომელიც პატარა ნივთების ლოჯისტიკას მოტოტრანსპორტით უზრუნველყოფდა და მას „უნივერსალური ფოსტა“ ერქვა.

– ასეთი საინტერესო კარიერის ფონზე, პოლიტიკურად გააქტიურების სურვილი რატომ გაგიჩნდათ?

– რაღაც დოზით ალბათ შსს-დან წამოსვლამ იმოქმედა. ეს იყო პირველი სერიოზული უსამართლობა, რომელიც ცხოვრებაში შემხვდა და დაღი დამასვა. შემდეგ იყო მუშა საადვოკატო პროცესი. ურთულესია, როცა უყურებ დაჩაგრულ ადამიანს, გაავაზაკებულ ჩინოსნებს, კორუმპირებულ სახელმწიფო სტრუქტურებს, სისტემურ დანაშაულს და სხვ. როგორც კი მომწიფდა სიტუაცია, რომ შეიძლებოდა პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა, შევიკრიბეთ სამეგობრო და ვთქვით, რომ „ქართული ოცნების“ გვერდით უნდა დავმდგარიყავით. 2014 წლიდან უკვე მკვეთრი სიახლეები შეინიშნებოდა ეკონომიკაშიც, ბიზნესშიც... გარკვეული პერიოდი აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელიც ვიყავი. 2015 წელს კი, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფროსად დავინიშნე. ბავშვებზე, ახალგაზრდობაზე ზრუნვა ძალიან დიდი გამოწვევაა და მიმაჩნია, რომ ღირსეულად გავართვი თავი. გამოგიტყდებით, ცხოვრების ეს ეტაპი ძალიან მეამაყება. ეს უკვე სხვა რანგის და მასშტაბის პოზიცია გახლდათ. აქ მე ვიყავი გადაწყვეტილების მიმღები „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდთან ერთად. დავგეგმეთ და განვახორციელეთ უმნიშვნელოვანესი პროგრამები და პროექტები. ვამაყობ ახალგაზრდული ბანაკებით. ამ 5 წლის განმავლობაში უზარმაზარი ადამიანური დივიდენდი დავაგროვე. საქართველოში არ მოიძებნება სკოლა, სადაც არ არის, ჩემი ხელმოწერილი სიგელი.

ვფიქრობ, ყველა დივიდენდი, რომელიც ჩემი კარიერის მანძილზე დავაგროვე, არჩევნებზე გამომადგება. ყველგან ვგრძნობ მხარდაჭერას. გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ მხოლოდ მერის პოზიცია არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია ძლიერი საკრებულოც და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. საარჩევნო მუხტი მაღალია აბაშაში, მაგრამ ჩვენ ავირჩიეთ კონსტრუქციული ურთიერთობა ყველასთან, მთავარი ამოცანაა, წარმოვაჩინოთ ჩვენი შესაძლებლობები და არავის უარყოფით მხარეებზე არ ვაპელირებთ.

– აბა რაზე აპელირებთ, რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– აბაშასთან მიმართებაში მხოლოდ ერთი მიდგომა მაქვს – არავინ უნდა გაბედოს, ის პროექტები, რომლებიც აბაშის კეთილდღეობას ხელს შეუწყობს, შეაფერხოს. პროექტი კი, ხელისუფლებას, ბევრი აქვს დაწყებულიც და დაგეგმილიც. ჩვენც დავგეგმავთ აბაშელებთან მუდმივი კოორდინაციით, მათ ინტერესებზე მორგებულ ახალ პროექტებს. ასევე, ჩემთვის მნიშვნელოვანია, აბაშაში დაბრუნდნენ ის ახალგაზრდები, ვინც სასწავლებლად დედაქალაქში ან სხვა მუნიციპალიტეტში წავიდა. სამწუხაროდ, მიგრაცია ძალიან დიდია.

ვიცი, რა არის აბაშის განვითარების პერსპექტივა – მხოლოდ სოფლის მეურნეობა, აგრარული სექტორი რომ ავიღოთ, არ მგონია სხვა ქვეყანაში იმაზე მეტი სახელმწიფო პროგრამა და სუბსიდირება იყოს, რაც ჩვენთანაა ამ მიმართულებით. არადა, ამის შესახებ, ბევრ ადგილობრივს არ აქვს ინფორმაცია. ან აქვს, მაგრამ არ იცის პროექტი როგორ უნდა დაწეროს, წარადგინოს. სტიმული სჭირდება ადგილზე ამ ყველაფერს, რომ ეს სიკეთეები, რასაც ცენტრალური ხელისუფლება აკეთებს, სწორად მიეწოდოს მოქალაქეს. აგრარული სექტორი აბაშის განვითარების უდიდესი პოტენციალია. მაგალითად, მესიმინდეობა. აუცილებელია ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების გაცნობაშიც დავეხმაროთ გლეხებს, რომ უფრო მარტივად, მეტი მოსავალი და შემოსავალი მიიღონ. 100 წლის წინ 700 ტონა დაფნა გაგვქონდა რუსეთში აბაშიდან. ბოლო პერიოდში ძალიან მზარდია სტატისტიკა ამ მიმართულებით, რაც ძალიან მახარებს. ასევე, წინ მიიწევს მეთხილეობა. ანუ, აგრარული სფეროს სხვადასხვა სექტორული მიმართულებები ძალიან კარგად შეიძლება განვითარდეს. ისევე, როგორც მცირე ფერმერული მეურნეობები. ამას ჭირდება მხოლოდ კარგი ლოჯისტიკა და საინფორმაციო კამპანია.

ქვეყანა ნელ-ნელა გადადის ტურისტული მიმართულების რელსებზე. იშვიათად ვსაუბრობთ ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებებზე. მაგალითად, სათავგადასავლო ტურიზმი, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა. შეგვიძლია განვავითაროთ აგრარული ტურიზმიც, რამაც კახეთში მოიკიდა ფეხი ღვინის დამსახურებით, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, ყველის წარმოება ვაქციოთ ტურისტების ინტერესის ობიექტად. აგრარული მეურნეობების განვითარება ტურიზმს მარტივად შეიძლება მივაბათ, რაც გამოიწვევს აბაშის თითოეული მკვიდრის, შესაბამისად კი მთელი მუნიციპალიტეტის გაძლიერებას.

ჩემთვის აბაშა მარტივი მოცემულობაა – ჩემი სახლია. ხშირად აბაშაში მმართველ პოზიციაზე დედაქალაქიდან ჩასულ ადამიანს უწევდა მუშაობა. პასუხისმგებლობა ერთია, მაგრამ სხვა შეგრძნებაა, როცა მშობლიურ მუნიციპალიტეტს უნდა ემსახურო. უკვე სოლიდური ასაკის ვარ, გამოწვევასაც სხვაგვარად ვუყურებ. მთელი ცხოვრებაა ვცდილობ, ჩემ შესახებ აბაშაში ჩასული ყველა ინფორმაცია პოზიტიური ყოფილიყო. მახსოვს, ბაბუა როგორი ამაყი დადიოდა, როცა მაცივრის გასაკეთებლად სამტრედიაში სახელოსნოში მივიდა და ხელოსანმა უთხრა, ისეთი შვილიშვილი გყავს, ფულს როგორ გადაგახდევინებო. ბაბუა 3 დღე აღნიშნავდა ამ ამბავს მეგობრებთან ერთად. არც ერთი სამსახურიდან ისე არ წამოვსულვარ, უკან მიხედვის შემრცხვენოდა და არც მომრიდებია იმ საქმეების ხსენება, რაც იქ მიკეთებია. ჩემი და ჩემი ოჯახის სახელს ძალიან ვუფრთხილდები. მინდა აბაშის ისეთი მერი ვიყო, რომ ჩემმა ოჯახმა, ჩემმა სამმა შვილმა და თითოეულმა აბაშელმა იამაყოს.

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲘᲐᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ 4 ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ

ერთ დღეს თბილისის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის ხელმძღვანელმა იურიდიული კონსულტაცია სთხოვა. გიგაც საქმიანად გამოეწყო, ჰალსტუხიც გაიკეთა და ცენტრში მივიდა. ის დღე მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა – ცენტრის პიარის ხელმძღვანელი სალომე ჯვებენავა გაიცნო და დანახვისთანავე იმდენად მოიხიბლა, რომ მეორე დღესაც გამოძებნა მისვლის მიზეზი. მეორე დღეს უთხრეს, ხვალ რეგიონში ერთ-ერთ ბავშვთა ცენტრში მივდივართ, დახმარება დაგვჭირდება და კარგი იქნება, თუ წამოხვალო. როგორც აღმოჩნდა, დახმარება ყუთების გადაზიდვაში სჭირდებოდათ. ეხმარებოდა და თან თვალს სალომესკენ აპარებდა. ავტობუსში კი ყველას დაასწრო და მის გვერდით დაჯდა. შემდეგ იყო ხშირი შეხვედრები, ერთმანეთის უკეთ გაცნობა, საერთო ინტერესები და ღირებულებები. როდესაც სალომეს ოჯახში გიგას შესახებ გაიგეს, მამამ – ცნობილმა ექიმმა გოგი ჯვებენავამ, თურმე მის შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია შეაგროვა და ქალიშვილს უთხრა, კარგი ბიჭი ყოფილა, სახლში მოვიდესო.

ოჯახში მარტო ასვლა ამჯობინა. ცხადია, ნერვიულობდა – მარტივი არ იყო სასიმამროს გაცნობა. ბატონი გოგი უკვე ნახევრადგაწყობილი დიდი სუფრის თავში იჯდა. გვერდით მომიჯექიო, მარჯვენა მხარეს ანიშნა ოჯახის თავკაცმა სტუმარს. მოულოდნელად ბატონმა გოგიმ ბრძანა, არაყი მომიტანეთო. მიუტანეს. ჩხოროწყუდან, მისი დედულეთიდან ჩამოტანილი, მაგარი არაყი იყო. საკმაოდ მოზრდილი ჭიქები ბოლომდე შეავსო, ასწია, ჩვენ გაგვიმარჯოს კაცებსო, უთხრა სასიძოს. გაგვიმარჯოსო, არ დაიბნა სასიძო, მიუჭახუნა ჭიქა და დალია. არაფერი მიუყოლებია – მასპინძელმა არაფერი გადაიღო და თვითონ როგორ დააგემოვნებდა რამეს?! მეორეს მესამე ჭიქა მოჰყვა, კვლავ კაცების სადღეგრძელო და სასიძომ „გამოცდაც“ ჩააბარა – „კარგი ბიჭი ხარ შენ, წადი ახლა სახლში და აწი რომ მოხვალ, მანდ დაჯდები“, – მას შემდეგ, სანამ ცნობილი ექიმი ცოცხალი იყო, ოჯახში, სუფრასთან, მარჯვენა გვერდს ყოველთვის სიძე უმშვენებდა.

სალომე ჯვებენავა პროფესიით ჟურნალისტია. დაცული აქვს დისერტაცია თემაზე „ამერიკული პრესა საქართველოს შესახებ“. გარკვეული პერიოდი კორესპოდენტადაც მუშაობდა, თუმცა შემდეგ, საჯარო სამსახურში გადავიდა. ამჟამად თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუშაობს. წყვილს სამი ქალიშვილი ჰყავს: 14 წლის მარიამი, 13 წლის ნათია და 11 წლის ნინი. უფროსები ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე სკოლაში სწავლობენ. მარიამი 5 წლიდან ჭადრაკს თამაშობდა. 40-ზე მეტი მედლისა და 10-მდე თასის მფლობელია. თბილისის სამგზის ჩემპიონია, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზეც აქვს მონაწილეობა მიღებული, თუმცა დღეს მაქსიმალურ დროსა და ყურადღებას სწავლას უთმობს. ნათიაც ნიჭიერია და მამასავით, ფიზიკა-მათემატიკური მიმართულებით, ძლიერია. ბეჯითი და ათოსანი მოსწავლეა ნინიც. ნაბოლარა ქართული ცეკვითაა გატაცებული, ანსამბლ „ლაშქარის“ წევრია და ხშირად გასტროლებზეც დადის.

საკმაოდ ენაწყლიანი და კარგი მოსაუბრე კანდიდატი, მხოლოდ სამი გოგოს მამობის შეგრძნებებზე საუბრისას ვერ პოულობს შესაფერის სიტყვებს. ამბობს, რომ ეს ენით აღუწერელი ბედნიერებაა. საინტერესოა წლების შემდეგ სასიძოებს ისეთივე მეთოდით გამოცდის თუ არა, რა მეთოდიც მისი გაცნობისას გოგი ჯვებენავამ გამოიყენა?! ოჯახს უყვარს მოგზაურობა. პანდემიის დროს კი, თითქმის მთელი საქართველო შემოიარეს, მაგრამ არსად უძგერთ გული ისე, როგორც მშობლიურ აბაშაში, სადაც გოგონები ხშირად ჩადიან. აქ უამრავი მეგობარი ჰყავთ, რაც მთავარია ჰყავთ დიდი ბებია ლეილა, სოსო ბაბუ და საყვარელი მზია ბებიას, წინაპრების საფლავებიც აქ აქვთ.

აბაშაში ყველა კუთხე-კუნჭული უყვართ. უყვართ მარნის სახლის დიდი, გაშლილი ეზო, სადაც კანდიდატი ბავშვობაში ფეხბურთს თამაშობდა, უყვართ აბაშისწყალში ცურვა, თევზაობა, აბაშის ქუჩებში ველოსიპედებით სეირნობა, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი, რომელსაც ახლა რეაბილიტაცია უტარდება და რა თქმა უნდა, აბაშის ულამაზესი პარკი...

აბაშისადმი შვილების ასეთი სიყვარული დამატებითი მოტივაციაა, რომ მშობლიური მუნიციპალიტეტისთვის თავდაუზოგავად იშრომოს. ბავშვობიდან წესრიგი უყვარს, მეგობრები „წესრიგასაც“ კი ეძახდნენ. მისი მიზანია, აბაშა საქართველოში ყველაზე კეთილმოწყობილი, განვითარებული, ბედნიერი ადამიანებით დასახლებული მუნიციპალიტეტი იყოს. ოჯახის წევრებიც დარწმუნებულები არიან, რომ აბაშაზე უზომოდ შეყვარებული და მიზანდასახული, ამისათვის ყველაფერს გააკეთებს!

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ – ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 41

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **აბაშის მუნიციპალიტეტზე** გამოიყო 25 441 835 ლარი, დაფინანსდა 77112 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (1 915 443,6 ლარით 131 843 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (4 965 457 ლარით 58802 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (13 542 921 ლარით 10 936 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (3 682 304 ლარით 3255 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (970 940 ლარით 1599 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 093 757 ლარით 1891 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, აბაშის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 128 ბენეფიციარი (186 671 ლარი).

2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **აბაშის მუნიციპალიტეტში** 81%-დან 92%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **აბაშაში,** სტაციონარული მკურნალობით 89 (341 119 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 946-მა პაციენტმა (104 169 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 2055 ორსული (114 417 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 476.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **აბაშის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 592 პირი (128 341 ლარი).**

2012 წლის შემდეგ, **აბაშის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება.

აბაშაში, 2013-2021 წლებში, სულ 331 შემთხვევა 419 493 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **აბაშის მუნიციპალიტეტს 31 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ინფრასტრუქტურული პროექტები

2014-2020 წლებში, აბაშის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: 2018 წელს აშენდა სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ოფისი ქ. აბაშაში (234,2 ათასი ლ), 2019-2020 წ.წ. აშენდა 10 ამბულატორია სოფლებში: სუჯუნა (94,0 ათასი ლ), მარანი (92,3 ათასი ლ), კეთილარი (92,9 ათასი ლ), ნაესაკოვო (93,0 ათასი ლ), ქოლობანი (91,8 ათასი ლ), ნორიო (91,0 ათასი ლ), ონტოფო (74,2 ათასი ლ), გეზათი (75,1 ათასი ლ), სამიქაო (95,2 ათასი ლ), ზანათი (94,8 ლ); რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტყვირის საექიმო ამბულატორიას (23,7 ათასი ლ); 2020 წელს დასრულდა სოფლების: ძველი აბაშის, პირველი მაისის, წყემის და სეფიეთის საექიმო ამბულატორიების (სულ – 100 ათასი ლ). 60-მდე მუნიციპალიტეტში, მათ შორის **აბაშაში**, განხორციელდა პროექტი **„ლითონის ანაკრები კონსტრუქციითა და მრავალფენოვანი მაღალი თბოიზოლაციის მაჩვენებლის მქონე პანელებით პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების აწყობა“** – პროექტის ღირებულება 2 424 300 ლ.

2013 წელთან შედარებით, **6,5-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 561,7 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 86,5 ათასი ლ).

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **აბაშის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 5302 პირი. 2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ – 6 794 030-დან 14 555 694 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წ.წ. სულ 94 125 426 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **აბაშაში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 82 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,5-ჯერ – 123 323-დან 428 590 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 3 184 332 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. აბაშის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1 311 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2,3-ჯერ – 1 223 ათასიდან 2763 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 18 733 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 3 844 ათასი, შშმ პირებზე – 1 581 ათასი, ბავშვებზე – 6 633 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **აბაშაში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1085 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,4-ჯერ – 342 538-დან 1 835 279 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 12 372 945 ლარი.

აბაშის მუნიციპალიტეტში 1883 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 771 086 ლარიდან 1 046 790 ლარამდე გაიზარდა დევნილთა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 8 820 203 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების

გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან აბაშის მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილდა 158 ოჯახი, მათ შორის: პორექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 90 დევნილ ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 68 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **აბაშაში**, დაფინანსებულია 315 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 805 350 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 136 650 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან აბაშის მუნიციპალიტეტზე – 1 350 380 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს -აბაშის მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 682 ოჯახი, 2021 წელს – 720 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, მუნიციპალიტეტში, 2020 წელს, ისარგებლა 179-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 208. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით), აბაშაში, პრგორამაში 2020 წ. ჩაერთო 251 პირი, 2021 წ. – 251 (ივნისის მდგომარეობით).

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271 პირმა-მა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო საგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271 ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 335,2 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 192,2 ათასი ლარი იყო.

აბაშაში, მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, მათ შორის, მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე ვეტერანების დახმარების პროგრამა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დახმარების პროგრამა; მე-3 და მეტი ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა; ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა; დედ – მამით ობოლი ბავშვების დახმარების პროგრამა; მარჩენალდაკარგულ ბავშვთა (0-დან 18 წლის ასაკამდე)ოჯახების დახმარების პროგრამა; სტიქიით დაზარალებული (ხანძარი, ქარი,წყალდიდობა)ოჯახების დახმარების პროგრამა; მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამა; მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი შვილი 0-დან 18 წლის ასაკამდე)დახმარების პროგრამა;დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა; მკვეთრად გამოხატული (პირველი ჯგუფის) შშმ პირების დახმარების პროგრამა; თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფელ მაცხოვრისკარის ახალი სკოლა

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუტი.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.

აბაშაში ფუნქციონირებს 20 მუნიციპალური საბავშვო ბაგა-ბაღი, მათგან 1 – ქ. აბაშაში, ხოლო 19 – სოფლად.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა აბაშაში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება. 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 3 მლნ 439 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის, 1 მლნ 130 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 341,3 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მათ შორის:

2014-2018 წლებში – რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. აბაშის №1, მარნისა და ონტოფოს საბავშვო ბაგა-ბაღებს (სულ 214,6 ათასი ლარი).

2014-2016 წლებში – აშენდა ახალი საბავშვო ბაღები სოფლებში: გაუწყინარი, ნორიო, ტყვირი, პირველი მაისი, სეფიეთი, გეზათი და მაცხოვრისკარი, რაზეც სულ 1 მლნ 584,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის:

2015 წელს, ახალი საბავშვო ბაღები აშენდა სოფლებში: ტყვირი (179, 3 ათასი ლარი), სეფიეთი (181, 6 ათასი ლარი) და პირველი მაისი (301,6 ათასი ლარი). სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა სოფელ გეზათის, მაიდნის, სამიქაოს, ქოლობნის, გამოღმა ზანათის, მარნისა და ეწერის საბავშვო ბაღებში (80,9 ათასი ლარი).

2016 წელს: აშენდა საბავშვო ბაღები სოფელ მაცხოვრისკარში (121 ათასი ლარი), გაუწყინარსა (98,7 ათასი ლარი) და გეზათში (100,8 ათასი ლარი). რეაბილიტირებულ შენობებში განთავსდა წყემისა (58,9 ათასი ლარი) და ონტოფოს საბავშვო ბაღები.

2017 წელს – ჩატარდა ქ. აბაშის, სოფელ მაიდნისა და მარნის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (110,8 ათასი ლარი). გაზიფიცირებულ იქნა პირველი მაისის, გაუწყინარის, ნორიოსა და მარნის საბავშვო ბაღები. აშენდა მაცხოვრისკარის საბავშვო ბაღი.

2018 წელს – კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ეწერის საბავშვო ბაღის სამზარეულოს, სახურავი შეიცვლა მაიდნის საბავშვო ბაღში, გარემონტდა მარნისა და ზანათის საბავშვო ბაღები,

განხორციელდა აბაშის №1 ბაგა-ბაღის სამზარეულოსა და მარნისა და ზანათის საბავშვო ბაღების რემონტი.

2019 წელს – გარემონტდა სოფელ კეთილარის საჯარო სკოლის მიერ გამოთავისუფლებული ფართი და მასში საბავშვო ბაღი განთავსდა; სოფელ მაცხოვრისკარის, გაუწყინარის, სეფიეთის, 1 მაისის საბავშვო ბაღები აღიჭურვა გარე და ოთახის სათმაშოებით; სოფელ 1 მაისის საბავშვო ბაღში მოწესრიგდა საკანალიზაციო სისტემა; გაზიფიცირდა და გათბობის სისტემა დამონტაჟდა აბაშის №1 ბაგა-ბაღში (69,5 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი).

2020 წელს – ეტაპობრივად დაიწყო სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის რეკომენდაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების დანერგვა. 18 საბავშვო ბაღში დამუშავდა ჭერი სპეციალური ხსნარით. განახლდა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობები და საევაკუაციო გეგმები. 2020-2021 წლებში, სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის მოთხოვნების შესაბამისად, ყველა ბაღში, გაზქურები ელექტროქურებით შეიცვალა.

2021 წელს – კაპიტალურად შეკეთდა სოფელ ეწერის საბავშვო ბაღი.

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 400-დან 630-მდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში 1.65 ლარიდან 3 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე – გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების **კვების რაციონი.**

სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია 1 საბავშვო ბაღის 2 ჯგუფში, სადაც 18 ბავშვი და 4 აღმზრდელ-პედაგოგია, ხოლო მუნიციპალიტეტის სხვა საბავშვო ბაღებში ინტეგრირებულნი არიან სასკოლო მზაობის ბავშვები (სულ 28 ბავშვი).

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში 29 აღმზრდელ-პედაგოგი, 28 აღმზრდელი, 29 მუსიკის პედაგოგი, 29 საბავშვო ბაღის უფროსი, 4 სასკოლო მზაობის ჯგუფის პედაგოგი, 2 ხელოვნების მასწავლებელი (№1 ს.ბაგა/ბაღი), 1 ფსიქოლოგი (№1 ს.ბაგა/ბაღი), 1 ლოგოპედი (№1 ს.ბაგა/ბაღი), ჯამში 107 თანამშრომელია დასაქმებული.

გათვალისწინებულია აღმზრდელ-პედაგოგთა ეტაპობრივად გადამზადება და HACCP-ის პროგრამის დანერგვა.

ზოგადი განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 23 საჯარო სკოლა, აქედან ქალაქში – 4, სოფლად – 19. სკოლებში 2505 მოსწავლე და 458 მასწავლებელია, მათ შორის – 22 სპეციალური მასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 49 სსსმ მოსწავლე. აბაშის 2 საჯარო სკოლას ემსახურება 4 მანდატური. მუნიციპალიტეტის 4 საჯარო სკოლას ემსახურება ექიმი.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგ-პროგრამები, მათ შორის:

პროგრამაში **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“** , საზაფხულო სკოლებში, 2013– 2019 წლებში, 308 მოსწავლე იყო ჩართული. 2017-2019 წლებში, მოსწავლეთათვის ჩატარდა 10 სასკოლო კონკურსი, გამოვლინდა 105 გამარჯვებული, მათ შორის 1 – აბაშის მუნიციპალიტეტიდან. 2017-2018 წლებში, **„სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის“** პროგრამით, აბაშის საჯარო სკოლებში 61 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა, ფინანსურად ხელი 122 პროექტის განხორცელებას შეეწყო.

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, 2019 წელს, ქალაქ აბაშის №1 საჯარო სკოლას – 30 ლეპტოპი გადაეცა. 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** ჯამში, 1997 მოსწავლე მონაწილეობდა. **2016-2019 წლებში,** სამინისტროს მიერ ორგანიზებულ **ინტელექტ-ჩემპიონატებში** აბაში საჯაროს სკოლების 1093 მოსწავლე მონაწილეობდა, **სასკოლო სპორტულ ოლიმპიდებში** კი, 2018-2019 წლებში, 679 მოსწავლე. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** აბაშის საჯარო სკოლების აღჭურვის 13, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 35 პროექტი განხორციელდა. 2016 წელს, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით/ლოკალური უსადენო ქსელით** 1 სკოლა აღიჭურვა.

2015-2019 წლებში, აბაშის საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით** აღჭურვის 41 პროექტი განხორციელდა.

2019-2021 წლებში, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტები („ახალი სკოლის“ მოდელი) დაინერგა აბაშის მუნიციპალიტეტის 6 საჯარო სკოლაში. მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში 19 სკოლის (57 მიმართულება) 793 მოსწავლეა ჩართული **2017-2020 წლებში,** აბაშის საჯარო სკოლებს, ჯამში, 855 **სასკოლო ჟურნალი** და 59526 **სახელმძღვანელო** გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“, 2013-2019 წლებში,** საჯარო სკოლების პირველკლასელებს საჩუქრად 1697 კომპიუტერი გადაეცათ, 132 – კლასის დამრიგებლებს, 98 – წარჩინებულ მოსწავლეს. ამავე პერიოდში, აბაშის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ჯამში, 73 **ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მოხალისე მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, აბაშის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 33 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია მუნიციპალიტეტის 18 საჯარო სკოლა, ცენტრალური გათბობის სისტემით კი 3 საჯარო სკოლაა აღჭურვილი. მათ შორის:

2013 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 საჯარო სკოლას (აბაშის №2, ძველი აბაშის, გეზათის, ეწერის, სუჯუნას და მარნის საჯარო სკოლებს, რაზეც სულ 330 ათასი ლარი დაიხარჯა.

2014 წელს – 8 საჯარო სკოლას (საგვაზავოს, აბაშის ნოღოხაშის, მაიდნის, აბაშის №1, სამიქაოს, წყემის, გაუწყინარისა და ონტოფოს საჯარო სკოლებს), რაზეც სულ 845,5 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, სოფელ ნოღოხაშის, მაიდნისა და საგვაზაოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, ჯამში, 400 ათასი ლარით დაფინანსდა.

2015 წელს განხორციელდა 9 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (აბაშის №2, მარანის, პირველი მაისის, აბაშის №1 და №2, ზანათის, მაიდნის, ქ. აბაშის კვათანისა და საგვაზავოს საჯარო სკოლები), რაზეც სულ 568,6 ათასი ლარი დაიხარჯა.

2016 წელს 2 საჯარო სკოლაში (1 მაისის და მარნის სკოლები) მოეწყო სამედიცინო ოთახები (სულ 44,9 ათასი ლარი).

2017 წელს დაფინანსდა: ქ. აბაშის №2 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა (2 ათასი ლარი) და იმავე სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა (88,1 ათასი ლარი).

2018 წელს დაფინანსდა: ქ. აბაშის №1 საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია (6,1 ათასი ლარი); ქ. აბაშის №2 საჯარო სკოლის სახურავის და კედლების რეაბილიტაცია (14,1 ათასი ლარი).

2019 წელს აბაშის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 12 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, 328,7 ათასი ლარი დაიხარჯა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა: ქ. აბაშის №1 და №2 საჯარო სკოლებს, სოფლების – კეთილარის, სუჯუნის, ქოლობნის, ტყვირის, მაიდნის, სამიქაოს, სეფიეთის, გაუწყინარის, ეწერის, ონტოფოს საჯარო სკოლებს.

2020 წელს სველი წერტილები მოეწყო მუნიციპალიტეტის 22 საჯარო სკოლაში, რაზეც, საერთო ჯამში, 2 მლნ 48,5 ათასი ლარი დაიხარჯა. სამუშაოები ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა: სველი წერტილები მოეწყო სოფლების – გაუწყინარის, მაიდნის, წყემის, სეფიეთის, ნაესაკოვოს, სუჯუნის, ეწერის, ონტოფოს, 1 მაისის, ქ. აბაშის №1, ქოლობნის, კვათანის, – ქალაქ აბაშის №2, კეთილარის, სამიქაოს, ძველი აბაშის, გეზათის, ზანათის, საგვაზავოს, ტყვირის, მარნის საჯარო სკოლებში.

დასრულდა, 60-ბავშვზე გათვლილი, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა სოფ. მაცხოვრისკარში (მუნიციპალური განვითარების ფონდი, 1 მლნ 112 ათასი ლარი).

აშენდა 60 ბავშვზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების ახალი საჯარო სკოლა სოფელ განათლებისკარში (1 მლნ 243 ათასი ლარი).

კორონაპანდემიის გამო, ქ. აბაშის №1, №2 და სოფელ ტყვირის საჯარო სკოლებში ვერ განხორციელდა 2020 წელს დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომის სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება;
- **2021-2024 წლებში** ჩატარდება სკოლამდელ დაწესებულებათა ავტორიზაცია;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მათ შორის, დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობები სოფ. სამიქაოში, ნაესაკოვოში, ქოლობანსა და ძველ აბაშაში (600 ათასი ლარი); დაგეგმილია აბაშის №1 ბაგა-ბაღის კაპიტალური რემონტი;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება აბაშაში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის, დაგეგმილია ახალი დაწყებითი სკოლის მშენებლობა კეთილარის თემის სოფელ გულეიკარში;
- გარემონტდება საესაკოვოს სკოლის ოთხები (48,2 ათასი ლარი). სამუშაობი სკოლების სახელმწიფო პროგრამის (ინფრასტრუქტურის სამინისტრო) ფარგლებში განხორციელდება;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ Ა(Ა)ᲘᲞ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ„ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲔᲑᲘᲐ: 18 ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ (ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲐᲑᲐᲨᲐᲨᲘ, 17 ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ – ᲡᲝᲤᲚᲐᲓ); ᲡᲘᲛᲝᲜ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ �გᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲚ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲘ; 5 ᲡᲐᲙᲚᲣᲑᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ, 1 ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ; ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲐ: ᲑᲔᲜᲓᲘ, ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲯᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲰᲐᲠᲘᲠᲐ“, ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲔᲑᲘ: „ᲥᲘᲚᲝᲠᲘ“, „ᲐᲜᲐᲜᲣᲠᲘ“, „ᲡᲐᲛᲔ�გᲠᲔᲚᲝ“, „ᲘᲛᲔᲓᲘ“, ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲣᲚᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲡᲣᲯᲣᲜᲐ“, ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲣᲚᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲑᲔᲠᲔᲮᲐ“, ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲯᲐᲠᲒᲕᲐᲚᲘ“.

2013 ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, **�გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ.** 2020 ᲬᲔᲚᲡ **ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ** ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ 666,6 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ, 2013 ᲬᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ 396.1 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ „ᲐᲑᲐᲨᲝᲑᲐ“ (2019 ᲬᲔᲚᲡ „ᲐᲑᲐᲨᲝᲑᲘᲡ “ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡ „ᲐᲑᲐᲨᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲑᲐᲨᲝᲑᲐᲛᲓᲔ“ ᲔᲬᲝᲓᲐ, ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ – 21-22 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ) ᲓᲐ „ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲝᲑᲐ“; ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ, �თᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ, ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲘ, �კᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ, ᲚᲔᲥᲪᲘᲐ-ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ, ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ, ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ, ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ (ᲛᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲔᲕᲠᲝᲡᲐᲑᲭᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ), ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲔ�გᲚᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡᲘᲗ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲔᲑᲘ (ᲛᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ: ᲨᲨᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲗᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ), ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ.

ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲠᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲒᲣᲚᲔᲘᲙᲐᲠᲨᲘ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2017 ᲬᲔᲚᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ �გᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ **ᲬᲛᲘᲜᲓᲐ �გᲘᲝᲠ�გᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ „ᲒᲣᲚᲘᲔᲠᲝᲑᲐ“,** ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔ-8 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲘᲦᲔᲑᲔᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲐᲓ Ა�გᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ; 2019 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲥᲝᲚᲝᲑᲐᲜᲘ **„ᲢᲘᲠᲘᲤᲝᲑᲘᲡ-ᲡᲣᲚᲗᲛᲝᲤᲔᲜᲝᲑᲘᲡ“** ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲡ.

2020 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, COVID 19-ᲘᲡ �პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ �პᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲠᲘ�გᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲨᲘ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ. 2021 ᲬᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲦᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ.

2015-2018 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲙᲘᲜᲝᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ, **ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ „ᲡᲘᲜᲔᲠᲐᲛᲐᲡ” (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ) ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲗ, �გᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ – „ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲐᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲙᲘᲜᲝᲡᲙᲝᲚᲐ“,** ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘᲪ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲘᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ. ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲔᲣᲤᲚᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ (ᲡᲐᲤᲝᲠᲢᲔᲞᲘᲐᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ), ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ, ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ, ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐ�გᲣᲜᲓᲝ ᲛᲣᲡᲘ�კᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲨᲘ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲨᲘ, ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲡᲐ ᲗᲣ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ.

2019 ᲬᲔᲚᲡ – ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲘ ᲓᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ, **ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲚᲝᲢᲑᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ.** ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲐ-ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ. ᲡᲐᲚᲝᲢᲑᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲔᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ. 2020 ᲬᲔᲚᲡ, COVID 19-ᲘᲡ �პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ (ᲡᲐᲤᲝᲠᲢᲔᲞᲘᲐᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ), ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ, ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ, ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐ�გᲣᲜᲓᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲨᲘ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲨᲘ, ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲨᲘ ᲗᲣ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ.

2019 ᲬᲔᲚᲡ – ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ – ᲑᲔᲜᲓᲡ, ᲐᲜᲐᲡᲐᲛᲑᲚ „ᲰᲐᲠᲘᲠᲐᲡ“ �გᲣᲜᲓᲡ, ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ Ჯ�გᲣᲤᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲘᲜᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲙᲝᲡᲢᲣᲛᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲥᲡᲔᲡᲣᲐᲠᲔᲑᲘ.

2019 ᲬᲔᲚᲡ – ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ, **�გᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲚᲝᲢᲑᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ.** ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲐ-ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ. ᲡᲐᲚᲝᲢᲑᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲔᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ. 2020 ᲬᲔᲚᲡ, COVID 19-ᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲐ (ᲡᲐᲤᲝᲠᲢᲔᲞᲘᲐᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ), ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ, ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ, ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲒᲣᲜᲓᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲨᲘ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲨᲘ, ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲡᲐ ᲗᲣ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ.

2019 ᲬᲔᲚᲡ – ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ – ᲑᲔᲜᲓᲡ, ᲐᲜᲐᲡᲐᲛᲑᲚ „ᲰᲐᲠᲘᲠᲐᲡ“ ᲒᲣᲜᲓᲡ, ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ Ჯ�გᲣᲤᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲘᲜᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲙᲝᲡᲢᲣᲛᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲥᲡᲔᲡᲣᲐᲠᲔᲑᲘ.

**2019 Წ

თიანებს სპორტის 13 სახეობას: ფეხბურთი, კალათბურთი, ბ/რ ჭიდაობა, რაგბი, კრივი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ჭადრაკი, ბალახის ჰოკეი, ძიუდო, ტაეკვონდო, ნიჩბოსნობა და ველოსპორტი). ა(ა)იპ აბაშის საფეხბურთო კლუბი „ზანა“ (სპორტსმენი-75, C კატეგორიის მწვრთნელი – 4, არასაშეჯიბრო-20 სპორტსმენი). კლუბში ფუნქციონირებს სამი საშეჯიბრო გუნდი. კლუბიდან 7 ფეხბურთელი გადაყვანილია „დინამო მარტვილის აკადემიაში“, 2 – „თბილისის დინამოს აკადემიაში“, 1 – თბილისის საბურთალოს აკადემიაში, 1– საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აკადემიაში.

2020 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სპორტის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 308 ათასი ლარით განისაზღვრა.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის: ქ. აბაშაში, მინისტადიონის რემონტი და ღობის აღდგენა-შეკეთება (7,3 ათასი ლარი), სპორტული დარბაზის რემონტი და სველი წერტილების მოწყობა (51,2 ათასი ლარი); სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მინისტადიონები მოეწყო სოფლებში: ბულვანი, ცილორი, გაღმაკოდორი, გამოღმა ზანათი, მაიდანი, ნაესაკოვო, წალიკარი და კეთილარი (48 ათასი ლარი);

2015 წელს – განხორციელდა მინისტადიონისა და ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები ქ. აბაშაში, რაზეც 58 ათასი ლარი დაიხარჯა; ქ. აბაშაში, კილასონიას ქუჩაზე მდებარე სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია (ჭერის, იატაკის, კედლების, კარ-ფანჯრების რემონტი და სველი წერტილების მოწყობა) – 51,2 ათასი ლარით დაფინანსდა.

2017 წელს – ქ. აბაშაში, დ. კაჭარავას ქუჩაზე, მოეწყო სპორტული მინისტადიონი (25,7 ათასი ლარი), განხორციელდა ცენტრალური სტადიონის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები (15,9 ათასი ლარი).

2018 წელს დასრულდა აბაშის სპორტული სკოლის რეაბილიტაცია (9,7 ათასი ლარი), ასევე, განხორციელდა აბაშის ცენტრალური სტადიონის შენობის რეაბილიტაცია (15,9 ათასი ლარი).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდა ჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაც დააფინანსა, მათ შორის, ქ. აბაშაში, ჩიქოვანის ქუჩაზე, სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობაც (14,3 ათასი ლარი).

ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: მოხალისეობის განვითარების პროგრამა – მონაწილეობდა რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან; **„საქართველოს თასი ლაშქრობაში“ –** მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან; მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, **2019 წელს, წყემის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკაუტური ბანაკი „თავგადასავალი 2019“ მოეწყო.** ბანაკში საქმიანობა მსოფლიო სკაუტური მოძრაობის მიერ შემუშავებული მეთოლოგიით ხორციელდებოდა, საბანაკე პროგრამა 8 დღისაგან შედგებოდა და სხვადსხვა აქტივობებს მოიცავდა, ბანაკის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში აემაღლებინათ ცნობიერება სხვადასხვა მიმართულებით: ლიდერობა, ჯგუფური მუშაობა, გარემოსდაცვითი აქტივობები, ლაშქრობის დაგეგმვა, თვითგადარჩენა, ბუნებაში ორიენტირება. სეზენონის განმავლობაში აბაშის სკაუტურ ბანაკში სულ 400-მდე მონაწილემ დაისვენა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის – **„საზოგადოების ჩართულობაზე ორიენტირებული თვითმმართველობის განხორციელება ქალაქ ფოთსა და აბაშის მუნიციპალიტეტში“** – ახალგაზრდებისთვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი, მათთვის საინტერესო თემებზე. პროექტი განხორცილედა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასთან, აბაშის მუნიციპალიტეტთან, გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრსა და სტუდენტურ-ახალგაზრდულ სათათბიროსთან პარტნიორობით. იმავე პროექტის ფარგლებში ჩატარდა საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანი იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ჯგუფების გაძლიერება, აქტიური მოქალაქეობის დანერგვა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა.

აბაშის მუნიციპალიტეტის 9 სოფელში დასრულდა და 6 სოფელში მიმდინარეობს ახალგაზრდული საგანმანათლებლო ცენტრის მოწყობის სამუშაოები – პროექტის საერთო ღირებულება 565 ათასი ლარია.

2016 წელს დაიწყო და 2017 წელს დასრულდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მშენებლობა ქ. აბაშაში (უჩა კაჭარავას ქუჩაზე), რომელშიც 2018 წლიდან ფუნქციონირებს ხელოვნების სკოლა.

„ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, წლების განმავლობაში, ხორციელდება რიგი პროექტებისა: **„ახალგაზრდული ფესტივალი“, „საჯარო გამოსვლის ხელოვნების კონკურსი“, „ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელების მხარდაჭერა“, „ღია მმართველობა“, „ახალგაზრდებისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა“** (ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ტრენინგი პიროვნული უნარების, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების განვითარების შესაძლებლობების საკითხებზე), **„მხიარულთა და საზრიანთა კლუბის მუნიციპალური ჩემპიონატი“.** ასევე, მნიშვნელოვანია შშმ პირთა მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორცილებული საქმიანობა (შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული დღეების აღნიშვნა, დაუნის სინდრომისა და აუტიზმის სპექტირს ადმიანების ცნობადობის ამაღლების მიზნით მსოფლიო დღეების აღნიშვნა, პაროლიმპიური სახეობა ბოჩას მუნიციპალური ჩემპიონატი) ასოციაცია „ათინათმა“ **„ახალგაზრდების ჩართულობის“ პროექტის** განხორციელება 2018 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო. პროექტის მიზანი ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა თემის განვითარებაში, ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და თვითმმართელობასთან თანამშრომლობითი ურთიერთობის გაღრმავებაა. აბაშის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი, რომლის წევრებმაც ტრენინგებზე მიღებული ცოდნით შეძლეს თემში არსებული საჭიროებების გამოვლენა, მოკვლეულ საჭიროებებზე შექმნეს ჟურნალისტური მასალები და, მათ საფუძველზე, საკრებულოებს წარუდგინეს პეტიციები. პროექტის მიმდინარეობის პროცესში დაგროვდა თანამშრომლობის გამოცდილება მოქალაქეებსა და საჯარო სტრუქტურებს შორის, ახალგაზრდების მიერ ინიცირებულ წინადადებებზე საკრებულოებმა მიიღეს გადაწყვეტილებები და მოგვარდა თემის გარკვეული საჭიროებები, გამწვანდა ქალაქის ცენტრის ნაწილი.

პროექტის „საზოგადოების ჩართულობაზე ორიენტირებული თვითმმართველობის განხორცილება“ ფარგლებში დაფინანსდა პროექტები: „ერთად მწვანე აბაშისათვის“ (ორგანიზაცია ,,სიკეთის მაძიებელი“), „საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრები სოფლად“ (ორგანიზაცია „გამჭვირვალე თვითმმართველობა“), „ახალგაზრდობის გაძლიერება უკეთესი მომავლისათვის“ (ორგანიზაცია ,,მაკრონი“), „თვითმმართველობის პარკი“ (ორგანიზაცია „სამოქალაქო ცნობიერება“), „აბაშის შშმ დღის ცენტრი“ (ორგანიზაცია „კოალიცია სოციალური ცვლილებებისათვის), „მე ვზრუნავ გარემოზე“ (ორგანიზაცია „გარემოსდაცვითი პოლიტიკა“).

მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ შენობაში გამოიყო სივრცე ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირებისათვის. ქალაქის ტერიტორიაზე (კვათანის უბანში) გაიხსნა დამოუკიდებელი ახალგაზრდული სივრცე – პროექტის საერთო ღირებულება 565 ათასი ლარია.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით შპს. „აი სიი იუ ქემფ“-მა განახორციელა პროექტი **„გაიცანი მსოფლიო და განავითარე შენი ქალაქი/რაიონი – ქართული კულტურის დღეები მესტია-2021“**. აღნიშნულ პროექტში აბაშის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა მიიღო ექვსმა ახალგაზრდამ და ორმა წარმომადგენელმა მერიიდან. პროექტი დატვირთული იყო მრავალფეროვანი და უნივერსალური ახალგაზრდული აქტივობებით, რომლებიც ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობას ემსახურებოდა.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ – ა(ა)იპ **„ახალგაზრდული გაერთიანება აბაშისთვის“** განახორციელა პროექტი **„უკეთესი მომავალი“ (11,8 ათასი ლარი),** რომლის მიზანი ტრენინგების გზით ადგილობრივი და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა იყო.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- 2020 წელს დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები (2 მილიონ 453 ათას 830 ლარი);
- 2022 წელს დაგეგმილია ა(ა)იპ-აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის სარემონტო სამუშაოები;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- 2022 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება თავისუფლების ქუჩაზე (რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია) ხელოვნურ და ასფალტის საფარიან მინიმოედნებს;
- 2023-2025 წლებსი ქ. აბაშაში (თამარ მეფის ქუჩაზე) განხორციელდება ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობა (3,3 მლნ ლარი);
- 2022-2025 წლებში დაგეგმილია გარე სავარჯიშო მოწყობილობების მონტაჟის 16 პროექტი ქალაქი აბაშასა და მუნიციპალიტეტის სოფლებში: კეთილარი, ნაესაკოვო, ტყვირი, სამიქაო, გეზათი, ონტოფო, სეფიეთი, ძვ. ბაშა, მარანი, პირველი მაისი, სუჯუნა, ზანათი, ნორიო, წყემი, რაზეც, საერთო ჯამში, 320 ათასი ლარი დაიხარჯება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიულ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

მაქვს პატივი, აბაშის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატად ვიყო დასახელებული. ერთი მხრივ, დიდი გამოწვევა, მეორე მხრივ კი – უდიდესი პატივია, გქონდეს მშობლიურ მხარესა და იმ ხალხზე ზრუნვის შესაძლებლობა, რომელთანაც მთელი განვლილი ცხოვრება გაკავშირებს.

ჩვენს მუნიციპალიტეტში, ბოლო წლების განმავლობაში, მიღწეული პროგრესი მართლაც თვალსაჩინოა, თუმცა ვიცით, როგორ უნდა გავაკეთოთ კიდევ უფრო მეტი! ჩვენს გუნდს აქვს რეალისტური სტრატეგია და მიზნები, თუ როგორ განვავითაროთ სოფლის მეურნეობის ყველა მიმართულება, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, როგორ გავამწვანოთ და გავალამაზოთ ქალაქი უფრო მეტად და როგორ ავითვისოთ აბაშის უდიდესი ტურისტული პოტენციალი.

მზად ვარ, ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება ისეთივე სულისკვეთებითა და სიყვარულით მოვახმარო მშობლიურ მხარესა და მუნიციპალიტეტს, როგორც ამას წლების განმავლობაში კერძო თუ საჯარო სექტორში მუშაობისას ვაკეთებდი. გამარჯვების შემდეგ თითოეული აბაშელის წარმომადგენელი ვიქნები და კიდევ უფრო დიდი ენერგიით, ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობითა და თქვენი უშუალო ჩართულობით, განვახორციელებთ იმ გეგმებს, რომელიც მეტ სამუშაო ადგილს, ეკონომიკურ სარგებელსა და კეთილდღეობის საერთო დონის ზრდას მოიტანს.

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, აბაშა თანამედროვე, ევროპულ ქალაქად ვაქციოთ. გავერთიანდეთ ამ საქმეში!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.